

12/08/2025



MES 1 25 0000953723

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 29.07.2025

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 16:17 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I, III, IV, V, VI, VII)

სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (II)

საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** - შპს „უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდოლოგიათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
8. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
9. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
10. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
12. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
13. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
14. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
15. **ბონდო გასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. **ირინა ლობჯანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **გიორგი ირემაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
2. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- ნატო ქობულაძე - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო ლაბარტყავა - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო ფეტვიაშვილი - მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის ხელმძღვანელი; დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი;
- ქეთევან ლატარია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- დალი ბერანძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

- მამული ბუჭუხიშვილი - პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი;
- იმერი ბასილაძე - მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- მანანა დეისაძე - მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- მაია ახვლედიანი - "განათლების მეცნიერების" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- სოფიო მორალიშვილი - "განათლების მეცნიერების" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- იაგორ ბალანჩივაძე - „სკოლამდელი განათლების“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- მადონა სამხარაძე - განმახორციელებელი პერსონალი;
- მარეხი ნიკოლაძე - პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი:

- ნონა შუმანიძე - ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
- მზია შავაძე - იურისტი;
- თემურ ტუნაძე - ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
- დედა ბარბარე (ციალა მეგრელაძე) - ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ნაილა ჩელებაძე - პრორექტორი;
- ელზა ფუტყარაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

- ივანე ჯაგოდნიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
- გუგული ყურაშვილი - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
- რუსუდან ქუთათელაძე - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- ნოე ხოზრევანიძე - მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხელმძღვანელი;
- ნინო ჩიკვილაძე - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ნანა ახალაია - მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
- მარინა მეტრეველი - „სასტუმრო მომსახურების მართვის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნანი მამფორია - „სასტუმრო მომსახურების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ლელა კოჭლამაზიშვილი - პროფესორი;
- მაკა ფირანიშვილი - ასოცირებული პროფესორი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- რევაზ ტაბატაძე (I საკითხი)
- სოფიო უგრეხელიძე (I საკითხი)
- გიზო უჩაიძე (I საკითხი)
- დიანა მჭედლიშვილი (I, II საკითხი)
- ქეთევან თოღაძე (II საკითხი)

- ფიქრია ვარდოსანიძე (II საკითხი)
- ნინო ტალიკაძე (II საკითხი)
- ანი ხეცურიანი (II საკითხი)
- ნინო ქავთარია (III, IV საკითხი)
- ეკა დევძე (V, VI, VII საკითხი)
- ასტრიდ ლილიანა მეჩკოვსკა-კრისტიანსენი (Astrid Liliana Męczkowska- Christiansen) - II საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, ხოლო დამტკიცებული დღის წესრიგის მეორე საკითხის შემთხვევაში - ქეთევან აფთარაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და „დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი განათლების“ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, "განათლების მეცნიერების" სამაგისტრო, „სკოლამდელი განათლების“ საბაკალავრო; მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)); მასწავლებლის მომზადების (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიის და თეორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის "ხელოვნების ისტორიის და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - აქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის მდგრადი ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - აქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმრო მომსახურების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და „დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი განათლების“ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, "განათლების მეცნიერების" სამაგისტრო, „სკოლამდელი განათლების“ საბაკალავრო; მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური; გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)); მასწავლებლის მომზადების (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორიის და თეორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის "ხელოვნების ისტორიის და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის მდგრადი ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

7. სსიპ - აქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმრო მომსახურების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და „დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება გამოაცხადა ვლადიმერ ადეიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

პროგრამა 1

პროგრამის დასახელება: სკოლამდელი განათლება;

საფეხური: ბაკალავრიატი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სკოლამდელი განათლების ბაკალავრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა 2

პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

სასწავლო მოდულები:

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური);
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური);
- **უცხოური ენები:** ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
- **ესთეტიკური აღზრდა:** მუსიკა;
- **სპორტი:** სპორტი;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 60;

პროგრამა 3

პროგრამის დასახელება: დაწყებითი /საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

სასწავლო მოდულები:

- **სახელმწიფო ენა:** ქართული ენისა და ლიტერატურა: დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის (I-XII) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

- **მათემატიკა** დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის (I-XII) მათემატიკის მასწავლებელი.
- **ტექნოლოგიები:** დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი;
- დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;
- **ბუნებისმეტყველების მიმართულება:** დაწყებითი საფეხურის (I-VI) ბუნებისმეტყველების მასწავლებელი

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 60;

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა თავიანთი პოზიციები.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მილან პოლი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სამივე საგანმანათლებლო პროგრამა ქმნის საკმაოდ კომპლექსურ კლასტერს და ეს პროგრამები ეყრდნობიან შრომითი ბაზრის საჭიროებების ანალიზს. პროგრამები ითვალისწინებს სხვადასხვა ადგილობრივი და უცხოური მსგავსი პროგრამის გამოცდილებას. ისინი უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი რესურსით, მათ შორის, მატერიალური აღჭურვილობით. მილან პოლმა ჩამოთვალა კლასტერული და ინდივიდუალური რეკომენდაციების ძირითადი მიმართულებები: ბავშვთა უფლებების თემისა და ელექტრონული სწავლების პროგრამებში ინტეგრირება, აკადემიური პატიოსნების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობის არსებული მიდგომების გადახედვა, აკადემიური პერსონალის კვლევითი ხარისხის განვითარება და ინგლისური ენის ფლობის გაუმჯობესება, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესება.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დალი ბერანდემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა პირველი და მეორე სტანდარტი შეაფასეს როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან და ეს განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებისთვის სრულიად მისაღებია. დაწესებულება უკვე მუშაობს ამ მიმართულებით გასაუმჯობესებელ მხარეებზე, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტების სრულად შესაბამისად შეფასება, მისი თქმით, მეტყველებს უნივერსიტეტში მდგრადი და განვითარებაზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს არსებობაზე.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და „დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელმა, ნინო ფეტვიაშვილმა ბავშვთა უფლებების თემის პროგრამაში ინტეგრირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატა ეს საკითხი და ასევე, საკითხი გათვალისწინებულია სამ სასწავლო კურსში: ესენია პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის დისციპლინების სავალდებულო სასწავლო კურსები. სწავლის მეორე შედეგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით - „ბავშვთა უფლებებზე დამყარებული უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებული სასწავლო გარემო“. რეკომენდაცია, რომელიც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგების დაყოფას ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის მიხედვით, რაც მისი თქმით, მარტივად შესრულებადი რეკომენდაციაა, თუმცა რჩევა უფრო არის, რადგან სწავლის შედეგებში ყველა მათგანი უკვე გათვალისწინებულია. სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არჩევით სასწავლო კურსების გაზრდა შესაძლებელია ზოგად ფსიქოლოგიური სასწავლო

კურსის ხარჯზე, თუმცა დაწესებულება არ ეთანხმება კრედიტების რაოდენობის მეთოდური კურსების ხარჯზე გაზრდის იდეას. ასევე, მისი თქმით, სასწავლო თემების სხვადასხვა კურსებში განგებ არის გადაფარული, რათა სტუდენტმა მოახერხოს ერთი საკითხის სხვადასხვა კუთხიდან დანახვა და შეფასება. ერთია საკითხის აღქმა ზოგად ფსიქოლოგიურ კურსებში და მეორეა ამ საკითხის მეთოდიკურად გააზრება, დაგეგმვა და შეფასების რუბრიკის მომზადება. მაგალითად, ბლუმის ტაქსონომია გათვალისწინებულია როგორც ზოგად კურსებში, ისე მეთოდურ კურსებში. დაწესებულებამ ასევე გაითვალისწინა წინაპირობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია და ამ ეტაპზე ამოიღო წინაპირობის ფორმულირებაში არსებული ნარატივი, რომლის მიხედვით, სტუდენტებს შეუძლიათ ინტეგრირებულად ისწავლონ საბაკალავრო კურსზე. მემორანდუმებში კი დაზუსტდა სტუდენტებს რაოდენობა და სხვა ტექნიკური დეტალები.

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნატო ქობულაძემ პროგრამის გარე შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტის ჩართვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა უკვე თანამშრომლობს გაეროს ბავშთა ფონდთან ამ მიმართულებით. ასევე, მოხდება ინდივიდუალური კურსების კრედიტებისა და საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების გადანაწილების გადახედვა და ცვლილება კურსების სპეციფიკის მიხედვით.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა, იკითხა პროგრამის ანალოგების შესწავლის შესახებ რეკომენდაცია ეხება მხოლოდ სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამას, რომელზეც დაწესებულებას შესაბამისი დოკუმენტი უკვე წარმოდგენილი აქვს თუ აქტუალურია მასწავლებლის მომზადების პროგრამებისთვისაც. მილან პოლის თქმით, ექსპერტა ჯგუფი შეთანხმდა, რომ პროგრამების შექმნისას გათვალისწინებული იყო როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთ არსებული მსგავსი პროგრამების გამოცდილება. ხსენებული რეკომენდაციის გაცემის საფუძველს კი წარმოადგენდა სწავლის შედეგების შეფასებისა და სფეროსთვის რელევანტური სამეცნიერო კვლევების გაუმჯობესება, რომლის შესახებაც სათანადო მასალა, მტკიცებულებები ვერ მოვიპოვეთ.

მასწავლებლის მომზადების პროგრამის შექმნისას გარე შეფასებისა და ადგილობრივი/უცხოური ანალოგების გამოცდილებების გათვალისწინების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ „ბენჩმარქინგი“ ძირითადად ეყრდნობოდა ადგილობრივ ანალოგებს და აგრეთვე იყო ერთ უცხოური პროგრამა, რის შესახებაც დოკუმენტები მიწოდებული იყო სააკრედიტაციო პაკეტში, ხოლო გარე შემფასებლის რეკომენდაციით პროგრამას დაემატა არჩევითი კურსები. ასევე, შეიცვალა სასწავლო კურსის შეფასების რუბრიკები და ყველა მეთოდურ სასწავლო კურსს დაემატა პორტფოლიო, რაც მნიშვნელოვანია კოლეგებისთვის გამოცდილებების გაზიარების კუთხით. პროგრამა ითვალისწინებს განათლების სახელმწიფო პოლიტიკაში არსებულ მიდგომებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან ლატარიამ განმარტა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული მდგომარეობა, რომ უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო პროექტ „პროდიჯიში“, რომელიც ითვალისწინებს მაღალი ხარისხის ციფრული განათლების ხელშეწყობას საქართველოში. მართალია, უნივერსიტეტს ქონდა ჩარჩო დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია დისტანციური სწავლების სინქრონული და ასინქრონული მეთოდები, თუმცა ეს დოკუმენტი მომავალში გადაიხედება და დაიხვეწება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამოდელო ლექციების მომზადება, ელექტრონული რესურსების განთავსება და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ციფრული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის იგეგმება ტრენინგების ჩატარება.

საბჭოს წევრმა ირინა ლობჯანიძემ დასვა დამაზუსტებელი კითხვა, რატომ გაჩნდა პლაგიატის აღმოჩენისა და პრევენციის შესახებ პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერების ამაღლების საკითხი რეკომენდაციის საფუძველი და კონკრეტულად რა იყო პრობლემური. აკრედიტაციის

ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ ვიზიტის სესიებზე ხშირად დაისვა პლაგიატთან დაკავშირებული კითხვები, თუმცა დამსწრეებისთვის არ იყო ნათელი ამ მექანიზმის მოქმედების პრინციპი. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია ჩატარდეს ტრენინგები და ამაღლდეს ცნობიერება ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე დასვა კითხვა. მას აინტერესებდა, უკვე გაითვალისწინა თუ არა დაწესებულებამ რეკომენდაციების ნაწილი.

მასწავლების მომზადების პროგრამების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამისთვის გაცემული ოთხივე რეკომენდაცია მიღებული და გათვალისწინებულია. დალი ბერანძემ მაგალითის სახით დაამატა, რომ ბავშვთა უფლებების თემა უკვე ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში და გამოგზავნილია შესაბამისი მტკიცებულებები.

საბჭოს წევრმა, ნარგული ასანიძემ, დაწესებულებას ჰკითხა თუ როგორია სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭების პროცესი და ასევე, ყურადღება გაამახვილა პერსონალის დატვირთვის გადანაწილების საკითხზე.

დალი ბერანძის თქმით, რეკომენდაციაში მოთხოვნილი იყო პერსონალის დატვირთვაში მოწვეული პერსონალის სხვა უნივერსიტეტებში დატვირთვის გაწერა. დაწესებულება ეყრდნობა “QMS” ბაზის მონაცემებს და ყველა დატვირთვა შესაბამისობაშია რეგულაციებთან. სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების შესახებ, ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ იქმნება სამუშაო ჯგუფები პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით და სასწავლო მიზნებისა, სასწავლო მასალის საფუძველზე ხდება კრედიტების განსაზღვრა.

დიანა მჭედლიშვილმა პერსონალის დატვირთვისთან დაკავშირებით დაამატა, რომ “QMS” ბაზიდან მიღებულ ინფორმაციაში აღმოჩნდა რამდენიმე პერსონალი, რომელსაც აღმოაჩნდა 60 საათამდე დატვირთვა. სხვადასხვა ტექნიკური ცდომილების მიუხედავად კი, კანონმდებლობა გვაკლდებულებს, რომ ვიხელმძღვანელოთ ბაზიდან მიღებული მონაცემებით და შესაბამისად, რეკომენდაციის ძირითადი მიზანია დაწესებულებამ შეიმუშავოს ამის კონტროლის მექანიზმი. დალი ბერანძის განმარტებით, ხსენებულ შემთხვევებში მაღალი დატვირთვის საათების დაფიქსირება დაკავშირებული იყო სხვა დაწესებულებების მხრიდან “QMS” ბაზაში საერთო პერსონალისთვის დატვირთვის საათების არ დაფიქსირებასთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:58

დასრულების დრო: 15:03

პროგრამა 1:

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით (2032 წლის 29 ივლისამდე) 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ემუხ

ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶-ემუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 ივლისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

პროგრამა 2:

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით (2032 წლის 29 ივლისამდე) 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27²-ემუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ემუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 ივლისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

პროგრამა 3:

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი/საბაკალავრო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით (2032 წლის 29 ივლისამდე) 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27²-ემუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ემუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶-ემუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 29 ივლისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი განათლების“ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, "განათლების მეცნიერების" სამაგისტრო, „სკოლამდელი განათლების“ საბაკალავრო; მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)); მასწავლებლის მომზადების (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება გამოაცხადეს ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან ვლადიმერ ადეიშვილის შემთხვევაში, ხოლო ლევან შავაძის შემთხვევაში - აკადემიური ურთიერთობა დაწესებულებასთან.

პროგრამა 1

პროგრამის დასახელება: დაწყებითი განათლება;

საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო;

შემდეგი საგნების სწავლების უფლებით: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ზოგადი განათლების I-IV კლასის საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნების ჯგუფი და V-VI კლასის ქართული ენა და ლიტერატურა/მათემატიკა/საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნები.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0113 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 300;

პროგრამა 2

პროგრამის დასახელება: განათლების მეცნიერება;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0111 განათლების მეცნიერება;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა 3

პროგრამის დასახელება: სკოლამდელი განათლება;

საფეხური: ბაკალავრიატი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სკოლამდელი განათლების ბაკალავრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა 4

